წლიწადი მეორე

ფასი 5 კაპ.

ხუთშაბათი, 21 იანვარი 1916 წ. № 15

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვე[illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

1916 წ.

წლიწადი მეორე

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

1916 წ.

წლიწადი მეორე

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) **საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.**

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. **დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.**

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება:

ქუთაისში: 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კვიცარიძის მაღაზიაში.

ბათომში: წიგნის მაღაზია „ცოდნაში“

თბილისში: ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში და „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში **ივანე კიკნაძესთან. სოსო ივანიძესთან.** ხარფუხის კლუბის მამასახლისთან ალ. ლორთქიფანიძესთან და სასტუმრო „უნივერსალში“.

თელავში: ბ. სულხანიშვილთან, ი. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან.

სიღნაღში: ნიკო ახმეტელაშვილთან.

ლაგოდეხში: ფორე ზედელაშვილთან

ქვემო ქიზიყში: ფიფო ალადაშვილთან.

ზუგდიდში: კატო კედიასთან.

მოსკოვში: გიორგი ვეშაპელთან.

კახში: ზაქარია ედილაშვილთან.

მაჩხაანში: ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

გორში: ალექსანდრე რომანიშვილთან.

ხაშურში: ტრიფო ჯაფარიძესთან.

ჭკადუაში: კალისტრატე ალშიბაიასთან.

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

პაზმული და სამხატვრო კრებული

„მ ე რ ა ნ ი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

სახალხო სახლი

კვირას, 24 იანვარს, დღის 1 საათზე გაიმართება დილა

ვაჟა-ფშაველა და მისი პოეზია

წაიკითხავს დ. კასრაძე.

II—გეურქ-აღა და ფანტასტები. იუმორისტ. პოემა.

III--ლექსები, სცენები და ფარსი.

ფასები 4 კ. 50 კაპ.

დაწვრილებით იხილეთ აფიშებში.

გამგე ბ. ბეგლარიძე.

(3—0—2)

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—14—11)

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

ომის დეპეშები

19 იანვარი.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში გუშინ მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტელი საარტილერიო სროლა იყო. ოგერის რაიონში გერმანელებმა გაავითარეს ძლიერი ტყვიისმფრქვეველებისა და თოფის ცეცხლი. შლოს კოკენჰაუზის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფრიდრიხშტადტის ზემოდ, გერმანელთა ერთი რაზმი გამოვიდა. ყველანი თეთრ მანდილში იყვნენ ჩაცმულნი და სწრაფად დვინაზე ყინულს დაუწყეს ჩეხვა, მაგრამ რუსებმა გაჰრეკეს თოფის სროლით. გოლუციშკის რაიონში, სვენციანის აღმოსავლეთით, რუსთა მფრინავებმა სროლა აუტეხეს მტრის მატარებელს. ნაროჩის ტბის რაიონში გერმანელებმა მძიმე ზარბაზნებიდან ასტეხეს სროლა განსაკუთრებული სუნით. გენერალ ივანოვის ფრონტზე რუსთა არტილერია მარჯვედ მოქმედებს. ბუჩაჩის ჩრდილოაღმოსავლეთით მტრის ერთმა ჯგუფმა იერიში მიიტანა რუსებზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნა.

კავკასიის ასპარეზი. რუსის ჯარები განაგრძობენ ოსმალთა შევიწროებას თორთუმის ტბისა და ხნისის რაიონებში.

პარიზი, 19 იანვარი. „ბელგეთში ჩვენი არტილერია მარჯვედ ისვროდა მტრის საველე სიმაგრეებს და სტეენსტრატის ხიდს. რუას სამხრეთით ჩვენი სანგრების ზარბაზნებით ფრენიერის რაიონში დავანგრიეთ გერმანელთა სიმაგრენი.

ჰავრი, 18 იანვარი. ბელგიის ფრონტზე მთელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ დიქსმიუდეს რაიონში დრო-გამოშვებით საარტილერიო სროლა იყო.

რომი, 18 იანვარი. ლაგორინოს ღელეში მცირეოდენი შეტაკება მოხდა ზღვის ჩრდილოეთით. მდ. იზონცოზე საარტილერიო სროლამ მძაფრი ხასიათი მიიღო.

ლონდონი, 18 იანვარი. ოსმალთა ცნობა, ვითომც კურნის დასავლეთით მათ დაემარცხებინოთ ინგლისელები, ასი მოეკლათ, ასი აქლემი და ამდენივე კარავი წაერთმიათ, სინამდვილეს არ შეეფერება. ერთად ერთი რამ რაც შეიძლება ითქვას, გახლავთ ის, რომ მართლაც ჩვენს მზვერავ რაზმს შეეტაკნენ არაბთა რაზმები, მართალია ზარალი მოგვაყენეს, მაგრამ თვითონ გაცილებით მეტად დაზარალდნენ.

მუკდენი, 18 იანვარი. დიდი კედლის გადალახვის შემდეგ მონღოლები დატანფუსა და პინლიასუნის ოლქებში შეიჭრნენ. ავანგარდი 2 ათასი კაცისაგან შესდგებოდა. დატანფუ ალყა შემორტყმულია.

ლონდონი, 19 იანვარი. გუშინ ცეპელინებმა იწყეს ფრენა მიდიენდის აღმოსავლეთ და ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილებში და საკმაოდ ბლომა ყუმბარები ჩამოჰყარეს. რა ზარალია, ჯერ ცნობა არ მოსულა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბალკანეთში.

სალონიკის გარშემო.

ბულგარეთის მთავარსარდალს უთქვია ერთი კორესპონდენტისთვის: რაც ავსტრიელებმა მთაშავეთი დაიპყრეს, სალონიკმა თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა მოკავშირეთათვის და უმჯობესი იქნება თუ კი ჯარებს სალონიკიდან გაიყვანენო.

მთაშავეთი.

მთაშავეთის კაპიტულაცია დამთავრდა. იარაღი ჩაბარებულია. ავსტრიელებმა გურინიე დაიჭირეს. ორთა სახელმწიფოთა მოლაპარაკება არ ეწინააღმდეგება მთაშავეთის კონსტიტუციას, რისთვისაც მოლაპარაკებას სავალდებულო ძალა ექნება მთაშავეთის მეფისა და მთავრობისათვის.

რუმინეთის პოზიცია.

სოფიიდან იტყობინებიან, ახლოვდება რუმინეთის პოზიციის გამოკვლევაო. რაწამს სალონიკისკენ წავლენ იერიშით, გერმანეთი ულტიმატუმს წარუდგენს მიემხროს მას. გერმანეთიდან აუარებელი ტრანსპორტი მოდის მძიმე არტილერიის დასადგმელად. უკანასკნელად ათინიდან მოვიდა ცნობა, რომ გერმანეთმა და ავსტრიამ რუმინეთთან უკვე მოათავეს მოლაპარაკება. რუმინეთს ეთმობა დობრუჯა. ტრანსილვანიის ავტონომიას გამოაცხადებენ. გერმანეთი რუმინეთს მიაწვდის ფულს და საჯარო ამუნიციას.

მთაშავეთი.

„რ. ვ.“-ის სიტყვით ტყუილია გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომც ავსტრია-მთაშავეთის ზავზე მოლაპარაკება შეწყვეტილიყოს. ზავზე მოლაპარაკება სწარმოებს და მთაშავეთის ჯარი ავსტრიის ჯარის მთავარსარდალს იარაღს აბარებს.

ოსმალეთში.

ოსმალეთის სრუტეების სანაპიროებში ყველგან გერმანელების ჯარია ჩაყენებული.

გრამაფონების დაწვა.

რუსეთში სახალხოდ დაუწყეს გრამაფონებს და მის ფირფიტებს დაწვა. ვირონცაში ერთ დღეს 20-ზე მეტი გრამოფონი დაუწვავთ. გამოდიან ორატორები და საჯაროდ ჰკიცხვენ ვინც გრამოფონებს იძენენ. ყველა ეს „გერმანელთა საზიზღარი და უპატიოსნო ნამუშავარიაო“.

გაგერმანელებული იერუსალიმი.

ძველის-ძველი წმიდა ქალაქი იერუსალიმი ფონ-დერ-გოლც ფაშას მიერ გერმანელთა საბუდრად გარდაიქცა. გოლცი აქ ამზადებს სამხედრო ოპერაციების დაწყებას. მთავარი ქუჩა იერუსალიმისა, დავითისა, ხევრონის ჭისკრიდან მოყოლებული დიდებულ ტაძრამდე ყოველისფერს გერმანული ელფერი მისცა. იერუსალიმის გაგერმანელება დაიწყო 1898 წლიდან, როცა ვილჰელმი პირველად ეწვია სალოცავად. ამ დღიდან გერმანელებმა მოიკიდეს ფეხი და ნელ-ნელ გამოსდევნეს რა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით, წინად აქ გაბატონებულან უცხო ელემენტები და განსაკუთრებით კი ფრანგები. ქუჩა-ქუჩა ჯართა დიდი მოძრაობაა, რაიც აღმოსავლეთის ხალხზე დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. გერმანელთა სამხედრო მუსიკა უკრავს ოსმალურს ჰიმნებს „დიდება ღმერთს და მრავალჟამიერ მუჰამედის სიცოცხლე.!“

ავსტრია და ბულგარეთი.

„ჟურნალ დე ბალკან“-ი სწერს: ბულგარეთ ავსტრიამ დაუთმო ვარდარის ველი ქალაქ ნიშით, ზაიჩარით, ნეგოტინით, მოჟაროვაზით. ამ ადგილებში ავსტრიის ჯარის მაგიერ ბულგარელები ჩადგნენ.

ავსტრია და სერბეთი.

გაზეთების ცნობით ავსტრია მოწადინებულია სერბეთთან სეპარატიული ზავი დასდოს. ავსტრია სერბეთს უთმობს სმერდერევოსა და ობრენოვაცის შუა მდებარე ოლქებს როლუგარის ველამდე.

რუმინეთი

ინგლისმა რუმინეთში იყიდა 80 ათასი ვაგონი ხორბლეული. ეხლა ავსტრია-გერმანელები ჰყიდულობენ დანარჩენს.

გერმანეთის დესპანი რუმინეთის მეფემ სადარბაზოდ მიიღო.

გერმანელების გავლენა ოსმალეთში

ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ხალილ-ბეის „ტაიმს“-ის თანამშრომლისთვის უთქვამს: ოსმალეთისათვის საჭიროა გერმანელთა საქმიანობა და თაოსნობა. შეხედეთ, რა ბედს მოსწია გერმანეთმა რუმინეთი—გაამდიდრა, ააყვავა—და მერმისის იმედებით აღაფრთოვანა. გერმანეთი ოსმალეთს მხოლოდ ომის დროს კი არა სჭირდება, გერმანელებს შეუძლიანთ ჩვენი ოსმალეთის გამდიდრება. ეხლაც კი 200 გერმანელი ანატოლიის მცხოვრებთ ასწავლის გაუმჯობესებულ წესით მიწის დამუშავებას. გერმანელების დახმარებით ჩვენ თავისუფლად გავუმკლავდებით ინგლისს სუეცის არხთან. ჩვენი დევიზი არის ეგვიპტისაკენ!“.

უკანასკნელი ფოსტა

ვილჰელმი ფრონტზე.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ვილჰელმს დვინის ფრონტზე მოელიან; ამის გამო ჯარის სარდლებს ბრძანება გაუციათ, რომ დასახვედრად მოემზადონ.

ენვერფაშა.

ენვერფაშა თავგამოდებით მოითხოვს ეგვიპტეზე გავილაშქროთ, ვიდრე ინგლისელებს ახალი მაშველი ჯარი არ მოსვლიათ და არ გამაგრებულანო.

დანებებულნი.

როგორც ამბობენ, 60.000 სერბიელს და მთაშაველს დაუყრია იარაღი და მოწინააღმდეგეს დაჰნებებია.

მთაშავეთის მეფე

ლტოლვილი თავის სამშობლოდან მთაშავეთის მეფე რომში მივიდა. თან ახლდა თავისი მდივანი. იტალიის დედოფალმა ელენემ (მთაშავეთის მეფის ასულმა) გულმხურვალედ მიიღო. მეფე ინახულეს სხვა და სხვა მოკავშირე სახელმწიფოების ელჩებმა.

არავინ მოსთხოვს მეფე ნიკოლოზს ტახტზე ხელის აღებას, მაგრამ, თუ იგი თვით მოითხოვს, სურვილი დაკმაყოფილებულ იქმნება.

მეფის ორი უფროსი შვილი დანილო და მირკო ავსტრიელებს ემხრობიან.

პოლონეთში

პოლონეთში ავტონომიური მართველობა შემოუღიათ. მეფედ დაუნიშნავთ გაბსბურგელთა სასახლის ერთ-ერთი ბატონიშვილი.

ბრძოლის ველზე

რიგის რაიონში მოქმედება გამოცოცხლდა. გასულ დღე-ღამეში არტილერიას ძლიერი მოქმედება გაუჩაღებია. ოგერის რაიონში გერმანელებს მკაცრი სროლა აუტეხნიათ თოფით და ტყვიისმტყორცნელით. ფრიდრიხშტადტის ზემოდ თეთრ სუდარებში გახვეული გერმანელები მდ. დვინაზე ყინვის მტვრევას შესდგომია, მაგრამ ისინი რუსებს გაუფანტიათ. ნაროჩის ტბის რაიონში გერმანელებმა მძიმე არტილერია აამოქმედეს გალიციაში. მდ. სტრიპაზე სამხედრო მოქმედება სიცხოველეს არ არის მოკლებული. ბუჩაჩის ჩრდილო აღმოსავლეთითაც მოპირდაპირენი მკაცრად იბრძვიან. აქ, როგორც გუშინდელი დეპეშიდან სჩანს, გერმანელ-ავსტრიელები იერიშით წამოსულან, მაგრამ ეს იერიში რუსებს მოუგერებიათ.

კავკასიის ფრონტის შესახებ საყურადღებო ცნობა არ მოსულა. დეპეშის გადმოცემით რუსები აწვებიან ოსმალებს თორთუმისა და ხნისის რაიონში.

მეგრი.

თბილისი, 21 იანვარი.

პოლიტიკური სიბრძნე. გუშინ ჩვენის გაზეთის საშუალებით მკითხველთ გავაცანით „რუსკოე სლოვოში“ დაბეჭდილ თავად ე. ნ. ტრუბეცკოის აზრი, სადაც ავტორი მოითხოვს პოლონეთის სრულს დამოუკიდებლობას, რა თქმა უნდა, რუსეთის მფარველობის ქვეშ. ჩვენის მხრით მის მთავარ სიტყვებს წარვაწერეთ: „ყოველისფერი კარგია, რაც **კარგად თავის დროზე** ითქმისო!“ პოლონეთის კანონიერი მოთხოვნილება ომის გამოცხადებამდე შეუწყნარებელი იყო არა თუ მართველი წრეების მიერ, არამედ თვით მოწინავე საზოგადოებისაგანაც კი. პოლონეთის ბრძნულ პოლიტიკას რუსეთი მხოლოდ ომის გამოცხადების დღეს მიხვდა, როდესაც პირველ აგვისტოს აქტით (1914 წ.) მომავლისთვის აღუთქვა ავტონომია. ევროპის ქაოტიურ კატასტროფის ასეთი ნაყოფი ყველა სახელმწიფოში მოწონებას იწვევდა. ინგლისიც, საფრანგეთიც ამ ნაბიჯს რუსეთის გაზრდა-გამარჯვებადა სთვლიდა. მაგრამ ეს ღიმილი, ნანატრთან დაახლოვება მალე იარაღის ჩხარუნში ჩაიმარხა, ამ აქტმა რეალი ხორცშესხმულობა ვერა ნახა, პირიქით, მთლად მივიწყებულ იქმნა და მხოლოდ ვარშავის დაცემის დღეს პრემიერ მინისტრ გორემიკინის პირით გვესმის პოლონეთისთვის სრული ავტონომიის დაპირება. მაგრამ ამ ხმას ენთუზიაზმი აღარ გამოუწვევია, რადგანაც ამ ახალი გახსენების შთაბეჭდილებას გაცილებით სჩრდილავდა გერმანელთა ზარბაზნების გრგვინვა-ქუხილი.

დღეს ფაქტიურად პოლონეთი წალეკილია. მენშიკოვთა მაღალ ფარდოვანი ლირიკა, ლამაზი, აღფრთოვანებული დეკლამაცია და დაუთავებელი ფრაზეოლოგია გერმანეთის სრულს შემუსვრაზე შეიცვალა გარეშე საქმეთა მინისტრ იზვოლსკის უფრო სადა, მარტივ, ცივ და ბეჯით მოთხოვნილებად, რომ ომი დათავებულ იქმნეს იქ, საიდანაც დაიწყო. ასეთი სადა, მაგრამ მამაცური გამხელა საკუთარ ძალღონის შეგნებისა, თავის თავად ჰგულისხმობს, რომ პოლონეთის სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი, რომ საფლავიდან აღზდგეს ტანჯული ერის სახელმწიფოს აჩრდილი, თუნდა „როგორც რუსეთის ძლევამოსილების აქტი“, როგორც ეს მოითხოვა ტრუბეცკოიმ. ბედის ირონია პატარა ერებისა ყოველთვის ასეთ აჩრდილთა დევნაში დალეულა და პესიმისტობაში ნუ ჩამოგვერთმევა, თუ გორემიკინის ერთგვარი კომპრომისი დაუჯერებელ რამედ მივიჩნიოთ.

შესაძლებელია,—და ეს ასედაც უნდა იყოს,—როგორც ტრუბეცკოის, ისე გორემიკინის აღთმა-დაპირებას, ერთი სიტყვით, მათს პოლიტიკურს bon-mot-ს, რაიმე ღირებულება ჰქონოდა ადრე, ვიდრე ასეთი კატასტროფა მოხდებოდა. მაგრამ, როგორც ვსთქვით, მანამდე პატარა ერთა raison d'état, რა თქმა უნდა, ძლიერ რუსეთისავე მფარველობის ქვეშ, ყველას მიერ შეუწყნარებელი იყო, პატარა ერებს შთაუნერგეს ერთგვარი იჭვი, ერთგვარი უნდობლობა. ამ მხრივ პოლონეთი ობოლი არ არის. შეგვიძლიან მივუთითოთ სხვებზეც, შორს რომ არ წავიდეთ, აქ, სომხებზეც, რომელთაც ასეთსავე ავტონომიას ჰპირდებოდნენ, მაგრამ ეს „სანუკვარი აღთქმანი“ სარიყამიშთან საბედისწერო ბრძოლის შემდეგ მილიუკოვთა მიერ სწრაფად წარშლილი იქმნა, როგორც დაფაზე ცარცით დაწერილი გამოცანა.

დღეს ყველა სახელმწიფოოა ბედი სწყდება. პატარა ერებს არა ნაკლებ გვაინტერესებს მომავალი ბედისწერა. რით გათავდება ომი? რა სახეს მიიღებს საბოლოო ლიკვიდაცია? ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის კი ეჭვ მიუტანად მიგვაჩნია, რომ ერთა დამოკიდებულება ისე აღარ იქნება, როგორსაც ვხედავდით დღევანდლამდე.

პრესის მაგიერ

„სახალხო ფურცლის“ შენიშვნაზე.

ბ-ნ გერონტი ქიქოძის წერილის გამო, რომელიც „სახალხო ფურცლის“ 480 №-ში იყო დაბეჭდილი და რომელსაც თვით რედაქცია იზიარებდა, მცირე შენიშვნა მოვიყვანეთ. ჩვენ ვსწერდით, რომ ეროვნული კაპიტალის მიჩნევა ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულ წარმატების პირველ საჭირო ფაქტორად ჰქმნის ლოღიკურ ვალდებულობას იდეიური ქომაგობა გაუწიოთ და ღონე ვიღონოთ ეროვნული ბურჟუაზიის აღორძინებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენ შევნიშნავდით, რადგანაც „სახალხო ფურცელი“, იზიარებდა ეროვნული კაპიტალის, მაშასადამე, ეროვნული ბურჟუაზიის შექმნის პირველ და გადაუდებელ საჭიროებას, იგი მოვალე იყო თავისი იდეოლოგიური მუშაობა ეწარმოებინა ეროვნულ აღორძინებისათვის **ყველაზე მეტად** საჭირო ფაქტორის სასარგებლოდ.ამას მოითხოვს უბრალო სალი გონიერება.ეს ლოღიკა ყველასათვის სავალდებულოა;იგი თანაბრად ხელმისაწდომია განვითარების სხ. და სხვა საფეხურზე მდგომი ადამიანისთვის. ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია რომ რომელიმე კერძო პირი, ან მთელი საზოგადოებრივი მიმართულება ქვეყნისთვის აუცილებელ საჭიროებად აღიარებდეს ერთ რამეს, ამ შემთხვევაში ეროვნულ ბურჟუაზიის შექმნა-გაზრდას და ამავე დროს იდეურად, მაშასადამე, საქმითაც მას ებრძოდეს. ყოვლად შეუძლებელია ზრუნავდე და იცავდე ქვეყნისთვის **აუცილებელ რეალ საჭიროებას—ეროვნულ ბურჟუაზიას, ეროვნულ კაპიტალს**—და ამავე დროს ისევე გულწრფელად იცავდე, ზრუნავდე და ემსახურებოდე სოციალიზმს, შორეულ პრობლემატიურ ცნებას. შეუძლებელია, ერთსა და იმავე დროს ორს, ერთი მეორის უარმყოფელ ძალას და პრინციპს ექომაგებოდა. რადგანაც „სახალხო ფურცელი“ ერთსაც ჩემულობს და მეორესაც, ჩვენ შევეკითხეთ, თუ რამდენათ პირნათელი იყო იგი ეროვნული კაპიტალის, ეროვნული ბურჟუაზიის წინაშე, რომელიც ჩვენ გვაინტერესებდა.ხოლო„სახ. ფურცლის“ სოციალისტური პოზიციის გამორკვევა და ამ ნიადაგზე კამათი დიდი ხანია „თანამედროვე აზრის“ შეუდავებელ უპირატესობად გადაიქცა. სოციალიზმის დასაჩემებლად. მათ შორის ატეხილ ბრძოლაში ჩვენ არ გავერევით.

ჩვენს შეკითხვაზე „სახალხო ფურცელმა“ გვიპასუხა:

„პირ-ნათელი“ „სახალხო ფურცელი“ მხოლოდ მაშინ არ იქნებოდა, როდისმე რომ ეთქვა, საჭირო არ არის ჩვენში კაპიტალიზმის განვითარებაო. ამისთანა რამ „სახალხო ფურცელს“ არასოდეს არ უთქვამს. მაგრამ „სახ. ფურც.“ ამასთანავე ერთად იმასაც ამბობს, რომ კაპიტალიზმი მხოლოდ ერთი მხარეთაგანია ეროვნული განვითარებისა; **ჩვენ 'საჭიროდ მიგვაჩნია კაპიტალისმის** (ხაზი ჩვენია) განვითარება, მაგრამ კაპიტალიზმი, როგორც დროებითი, გარდამავალი მოვლენა, ჩვენი განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად ვერ გარდაიქცევა. ამ კერძო, გარდამავალ მოვლენათა ზევითა სდგას მარადიული მისწრაფებანი ერისა, რომელთა განსახორციელებლადაც ვიღვწით“.

სადაო ის კი არ არის, კაპიტალიზმი ერთი მხარეთაგანია, თუ არა ეროვნული განვითარებისა, რომ იგი ერთი მხარეთაგანია და არა ყოვლის შემცველი, არაოდეს არ უარგვიყვია. საქმე ისაა რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრების განსამტკიცებლად „ყველაზე მეტად ეროვნული კაპიტალია საჭირო“. და თუ, როგორც თითონ ამბობთ, საჭიროდ მიგაჩნიათ ჩვენში კაპიტალიზმი, რისთვის არ სცდილობთ და რად არ ხარჯავთ თქვენს გონებრივ ენერგიას სწორედ იმისთვის, რომ ხელი შეუწყოთ მის წარმოშობას, მის განვითარებას და განმტკიცებას? თუ ეს სადღეისო და გადაუდები საჭიროებაა ჩვენი ქვეყნის სიმტკიცისთვის, რისთვის არ დაიცავთ მას პირველ ყოვლისა, რისთვის არ უნდა გაიხადოთ იგი „თქვენი განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად“? სულ სხვაა თუ მას პრინციპიულად არ შეიწყნარებთ და დროსა და გარემოების გარეშე მას ამ ქვეყნის ბოროტებად დასახავთ. მაგრამ თქვენ ხომ ასე არ იქცევით. თქვენ მას იზიარებთ, აუცილებელ საჭიროებად მიგაჩნიათ ეროვნული სიმტკიცისათვის და ამავე დროს მასზე არამც თუ განსაკუთრებით არ ზრუნავთ, არამედ როგორც სოციალისტები და უფრო სოციალისტები ებრძვით ბურჟუაზიულ პრინციპს, მაშასადამე ქართველ ბურჟუაზიას, ქართულ კაპიტალს. უკაცრავად, მაგრამ აქ აშკარა ორპირობაა. ქვეყნისთვის და ჩვენი ახალი ფეხადგმული საზოგადოებრიობისთვის ფრიად მავნე ორპირობაა. თქვენ ამ **რეალ** საჭიროებას აბსტრაქცია უყავით, მას გვერდს უხვევთ და ამბობთ: „ამ კერძო გარდამავალ მოვლენათა ზევით სდგას მარადიული მისწრაფებანი ერისაო, რომელთა განსახორციელებლადაც ვიღვწითო“... თქვენ აქ სოციალიზმს გულისხმობთ ალბათ, თორემ სხვა გვარიც არის მარადიული მისწრაფება. ეს თქმა თქვენი პოზიციის სისუსტის საფარი უფროა, ვიდრე სერიოზული, დამარწმუნებელი საბუთი იმისა, თუ რისთვის **არ უნდა** იცავდეთ და ზრუნავდეთ ეროვნული ბურჟუაზიისათვის, რაიცა თქვენისავე თქმით „ყველაზე მეტად“ საჭიროა. რა იცით რომ ეგ სოციალიზმი, გარდუვალი კატეგორია იქნება სოციალი ცხოვრებისა? რა „მეთოდით“ გვიმტკიცებთ ამას?!.. ჩვენთვის ერთი ცხადია, განყენებული პრობლემატიურ ცნებას, საეჭვო და საეგებიო ფორმას მომავალი ეკონომიური წყობილებისას, გინდათ ანაცვალოთ სადღეისო ყოვლად უსაჭიროესი საქმე—ეროვნული ბურჟუაზიის და კაპიტალის შექმნა და მისი დაცვა და გამოქომაგება. თქვენი ნებაა, შეგიძლიათ ნეტარ ოცნებაში გაერთოთ, მაგრამ გარკვეული პოზიცია დაიჭირეთ. თუ სოციალიზმია თქვენს დროშაზე, იყოს, ოღონდ მაშინ ხელი აიღეთ ეროვნული კაპიტალის სადღეისო და მის ყოვლად საჭიროების შესახებ ლაპარაკზე. თუ გწამთ და სადღეისო საქმედ ეროვნული კაპიტალი და ბურჟუაზია მიგაჩნიათ, მაშინ ამას ემსახურეთ. ორივე ერთად შეუძლებელია, და ნამდვილი non sens-ია. ამ მხრივ თქვენი პოზიციის საბოლოო გამორკვევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებრივი ძალებისა და მიმართულებათა ნორმალურ დიფერენციისათვის.

ახალი ამბავი

◆ **მეფის ნაცვალი** დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თბილისიდან გაემგზავრა სამსახურის საქმეებზე.

◆ **მეფის ნაცვლის** სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე სენატორი პეტერსონი დღეს მიემგზავრება პეტროგრადს ახალ თანამდებობაზე.

◆ **ტატიანის დღის** შემოსავალი სტუდენტთა სასარგებლოდ 1100 მანეთს აღემატება.

◆ **თბილისში ჩამობრძანდა** ყოვლად სამღვდელო ლეონიდი ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი.

◆ **სამოსამართლო ოლქის** სესია გორს გაემგზავრა საქმეების გასარჩევად.

◆ **ომში წასულ ოჯახთა** მზრუნველ სათავად-აზნაურო კომიტეტის წლიური კრება ამ თვის ბოლოსაა დანიშნული.

◆ **საპრემიო თხზულება.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა 19 ამა თვეს მისწეროს სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამგეობას შეადგინოს მხატვრულ ნაწარმოებთა სია და დაჩქარებით წარმოუდგინოს მას თავ. ერისთავის სახელობის პრემიაზე საკონკურსოდ.

◆ **მადლობის გამოცხადება.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა 19 იანვარს მადლობა გამოუცხადოს ბაქოს საზოგადოებას 1.050 მანეთის შეგროვებისათვის ქართულ სკოლისათვის შენობის ასაგებად ნალჩიკში.

◆ **შაბიამანი.** იმ 18 ათასი ფუთი შაბიამანიდან, რომელიც ფრიდონოვის სავაჭრო სახლს მოუვიდა ინგლისიდან არხანგელსკში, თბილისში ჯერჯერობით უკვე ჩამოვიდა რკინის გზით 2.000 ფუთამდე. დანარჩენსაც ნაწილ-ნაწილ ამ დღეებში მოელიან.

◆ წელს 15 იანვარს თბილისის პოლიტეხნიკუმის კურსები **ინჟენერ ამაშენებელის ნაწილი** დაამთავრა სამმა ქართველმა: კონსტანტინე თომას ძემ ჩაჩუამ არტემ თეიმურას ძემ ლომიამ, ალექსანდრე პეტრეს ძემ მაისურაძემ.

◆ **გადმოხვეწილთა დახმარება.** გადმოხვეწილთა სვე-ბედზე მზრუნველმა საქალაქო კომისიამ შუამდგომლობით მიმართა საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეს გენერალ თამამშევს მიაწოდოს მას 500 საბანი თბილისში შემოხიზნულ გადმოხვეწილთათვის.

◆ **ტრამვაის გარშემო.** ბელგიის უსახელო საზოგადოებას, ნაცვლად 85,000 მანეთისა, როგორც ნაანგარიშევი ჰქონდა, 110,000 მანეთის გადადება დასჭირდა ტრამვაის მოსამსახურეთათვის დასარიგებლად იმის გამო, რომ ტრამვაი ქალაქის ხელში გადავიდა. ფულები საზოგადოებამ უკვე დაურიგა მოსამსახურეთ, გარდა კანტროლებისა და კანტორის მოსამსახურეებისა. ესენიც ამ დღეებში მიიღებენ ხვედრ ფულს.

◆ **ქალაქთა კავშირის** საწყობმა ამერიკიდან მიიღო 11 ცალი სხვა და სხვა ნივთები გადმოხვეწილთა სასარგებლოდ.

◆ **აჭარაში** ძალიან გავრცელებულა ყვავილი და საოფლე. მოძრავი სამკურნალო რაზმი დიდად ეხმარება ხალხს რჩევა-დარიგებით და წამლების მიცემით.—ბევრს სოფელში დიდი მოთხოვნილებაა ქართულ სახალხო წიგნებისა. როგორც ირკვევა, ხალხში აქა-იქ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელნიც არა მარტო თავიანთთვის წაიკითხავენ წიგნებს, არამედ სხვებსაც წაუკითხავენ და აუხსნიან წიგნის შინაარსს.

◆ **მორიგი კრება.** დღეს, 21 იანვარს, [illegible], მორიგი კრება [illegible] ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა და შეადგინოს ამავე წლის ხარჯთაღრიცხვა.

◆ **ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება** უკვე შეუდგა გეგმის შედგენას საგარეჯოში შეძენილ 10 დესეტინა მამულის დასამუშავებლად. ჯერ-ჯერობით საზოგადოება აპირებს საცდელ-საჩვენებელ ვენახისა და ხეხილის გაშენებას.

◆ **წერა-კითხვის გამგეობამ** ხელახლა იქონია მსჯელობა 19 ამა თვეს ილიასეულ საგურამოს მამულის შესახებ და იმ გადაწყვეტილებას დაადგა, რომ ეს მამული გრძელვადიანი იჯარით მისცეს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას. ამ საზოგადოების საბჭოსთან პირობების შესამუშავებლად გამგეობამ თავისს წარმომადგენლობა მიანდო გ. ნ. ყაზბეგს, გ. მ. ლასხიშვილს და ბ-ნ გ. ცინცაძეს. დანარჩენ მთხოვნელებს მამულის იჯარით აღების შესახებ გამგეობამ უარი უთხრა.

◆ **კახეთიდან დაბრუნდნენ** მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის თავმჯდომარე კორვინ-პავლოვსკი და მდივანი ვ. რცხილაძე, რომელთაც დაუთვალიერებიათ ვაზის სანერგეები კონდოლსა და ჩუმლაყში.

◆ **მოსავლის ნიშნები.** როგორც მცოდნე კაცებმა გადმოგვცეს, კახეთში ცუდი პირი უჩანს ჭირნახულის მოსავალს. თოვლი ჯერ არ ჩამოვარდნილა იქ, მიწა გამოფიტულია და ჯეჯილი ჯერ არ ამოსულა, დრო კი არის.

◆ **ქართული წარმოდგენა.** 19 იანვარს ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნა „იუდას მემკვიდრე“. პიესამ გაცილებით მწყობრად ჩაიარა, ვიდრე პირველად იყო. ყველას ყურადღება მიჯაჭვული იყო ფონისაკენ ბ-ნ იმხნელისკენ): წარმოდგენას საკმაო საზოგადოება დაესწრო.

◆ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 20 იანვარს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 171, ხუნავიანი 24, სახადიანი 22, საოფლიანი 7, წითელი ქარიანი 1, მენინგიტიანი 2 კაცი.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარი გამგეობა ხელახლა აპირებს მოუწოდოს ქართველ საზოგადოებას არ დაიშუროს თავისი წვლილი საზღვარ გარედ მყოფ ქართველ მოსწავლეთა დასახმარებლად, რომელნიც, მიღებულ ცნობების მიხედვით, დიდ გაჭირვებას განიცდიან ქონებრივად.

◆ **საღამოს საპატიო გამგე.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობის თხოვნით საქველმოქმედო საღამოს საპატიო გამგებლობა, რომელსაც საზოგადოება მართავს 24 ამა თვეს „ახალ კლუბი“-ს დარბაზში, იკისრა კნეინა ელისაბედ ირაკლის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ.

ქართველ-სომეხთა მისწრაფებანი

ამა თუ იმ ერის სურვილებს და მისწრაფებას, რასაკვირველია, ან მის მოქმედებაში უნდა ვხედავდეთ, ან და მის იდეალებში, რომლებიც ჩვეულებრივად მის არსებაში გამოსჩანს.

ერი, რომელსაც ეროვნული გრძნობა დიდად განვითარებული აქვს და ამ ეროვნული გრძნობით არის შეკავშირებული, უფრო კარგად მოქმედობს და იმის საქციელს ეროვნული მოქმედების ბეჭედი აზის.

ერს კი, რომელსაც იდეა ეროვნული ჯეროვანად არა აქვს გამჯდარი და ათასგვარი პირობის გამო არ შეუძლიან ეროვნული სახიერება გაატაროს მთლიან ცხოვრებაში, იმისი მოქმედება უფრო ჯგუფურ, პარტიულ სახეს ღებულობს.

თქმა არ უნდა, ყოველი ადამიანის იდეალი უნდა იყვეს პიროვნება ადამიანისა, როგორც ასეთი და არა ქართველი, სომეხი, რუსი თუ სხვა; მაგრამ ამ იდეალური ცხოვრების მიხწევა არა თუ აწინდელს მის შორეულ მომავალსაც არ ექნება საშუალება დაუახლოვდეს; რადგან სოციოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ისტორიული, კულტურული სარწმუნოებრივი, ენის მხრივ და სხვა მოვლენანი შეუძლებელს ჰყოფენ ამ იდეალის განხორციელებას. ამ მოვლენათა ზეგავლენა იმდენათ ძლიერია რომ მათ ვერ გაუსხლტება ვერც ერთი ადამიანის ცხოვრება. და მინამ ის ამ ქვეყნად არსებობს, უთუოთ ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა ამას.

ესევე დაამტკიცა აწინდელმა უსაშინელესმა ომმა, რომელსაც, არა თუ ერი ერს, რასაც კი რასას დააჯახა, და ერთი მეორეს საწინააღმდეგოდ შეაჯგუფა. ყველასათვის ცხადია, რომ ამ მეომარ კულტუროსან ხალხს სრულებითაც არ ამოძრავებდა სურვილი უბრალო ადამიანის სისხლის ღვრისა. მაგრამ ისინი მივიდნენ იმ შეუთანხმებელ ინტერესთა წინააღმდეგობამდე, რომლის მშვიდობიანად მორიგება შეუძლებელი გახდა არსებულ სოციალურ პირობებში და სამკვდრო სასიცოცხლო ომი გაჩაღდა. შესაძლებელი იყო ეს ომი ცოტა ადრე ან ცოტა გვიან მომხდარიყო შეიძლება მეომარი სახელმწიფონი სხვა და სხვა ნაირად დაჯგუფულიყვნენ, მაგრამ ომი მაინც მოხდებოდა, რადგან ინტერესთა წინააღმდეგობას, ამ არსებულ სოციალურ პირობებში სხვა გამოსავალი გზა ვერ ეპოვნა.

ამ სახელმწიფოებს გარკვეული მიზნები და სურვილები რომ ჰქონოდეთ, მათი მოქმედება ამა თუ იმ მიზნების მისაღწევათ ერთმანეთს რომ არ შეჯახებოდეს, ცხადია, არც ასეთი უსაშინელესი სისხლის ღვრა იქნებოდა. მაგრამ რადგან ყველა მოპირდაპირენი ესწრაფოდენ გარკვეულ მიზნებისაკენ, მათი სურვილები და მიზნები ურთიერთის მოქმედებას გადაეღობნენ და შეჯახება და ფიზიკური ძალით საქმის გადაწყვეტა გამოიწვიეს.

მიზნები და სურვილები უპირველეს ყოვლისა ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა იყო. ადგილების შეძენა საცხოვრებლად ანუ საახალშენოდ. და თავიანთი კულტურის გასავითარებლად, ბაზრის მოსაპოებლად საქონლის გასატან შემოსატანად; საჭირო გზების და ადგილების გამოსანახად და სხვა და სხვა მიზნების მისაღწევად ასტყდა ეს ომი.

კაცობრიობის ცხოვრებაში ეს ომი არც პირველია, არც უკანასკნელი. ყოველივე ქართველ-სომეხთა ზემოხსენებულთან ერთად, რასაც ჩვენ ცხოვრებაში ვხედავთ და აგრეთვე ვხედავდით, საგულისხმიეროა ყოველი ამ ორი ერის გულის შემატკივარისათვის. ამ ორ ერს ძველთაგანვე მეზობლებად უცხოვრია. ბევრი რამ მათ წინად საერთო ინტერესები ჰქონიათ. დროთა ვითარებაში სომხებს ადრე დაუკარგავთ დამოუკიდებელი არსებობა და ქართველობას მათთვის, როგორც მეზობელ და ქრისტიანი ერისათვის ბევრი დახმარება აღმოუჩენიათ. ქართველობას სომხები თავის მიწა-წყალზე მოუწვევიათ; თავიანთ კარ-მიდამოში მიუღიათ; თავიანთ სამშობლოში დაუსახლებიათ და ძმური მაშველი ხელი გაუწვდიათ.

საქართველომაც დაჰკარგა დამოუკიდებლობა. სომხობამაც შეინარჩუნა თავისი პიროვნება. ის არ გამქრალა და არც მოსპობილა. მომწყვდეული მაჰმადიან სახელმწიფოთა შორის, სადაც მის განვითარებას თავისუფლებას და ეროვნულ აღორძინებას ბევრი ხიფათი და დაბრკოლება აჰლობებია ის მაინც იბრძოდა არსებობისათვის. ამ ბრძოლამ ეროვნულად გააერთიანა სომხობა. გააღრმავა მათში ეროვნული გრძნობა. გამოუჩინა ამ გრძნობას თვისი იდეოლოგები. გაჩაღდა სომხეთა შორის თავგანწირული ეროვნული მუშაობა. შეიქნა სისტემატიური განსაზღვრული აწონილ-დაწონილი მოქმედება. გამოუჩნდენ სომხებს არა მარტო ეროვნული მწერლები არამედ გამოუჩნდენ თვით ეროვნული გმირებიც რომელნიც გაერთიანებულ თავისუფალ სომხეთისაკენ უწოდობენ სომხებს. ოსმალეთის სომხეთში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობა გადმოდის რუსეთში. უმთავრეს ასპარეზად სომხთა ეროვნული მუშაობისა ხდება თბილისი და ბაქო, ერევნისა და თბილისის გუბერნია, ყარსის ოლქი და აგრეთვე განჯის გუბერნია და სხვა კავკასიის ადგილები.

მათი პოლიტიკური კრედო, მთლიანი გამარჯვებული სომხეთია. მათი საშვალება ეკონომიური გაბატონებაა, ეროვნული კულტურის შექმნა იქ სადაც მივლენ. პოლიტიკური უფლებების მოპოვება და გაბატონება; საჭიროების დაგვარა ფიზიკურის ძალის გამოყენებაც. ესეთი სისტემა ბრძოლისა გააჩაღეს ყველა იმ ადგილებში, სადაც ფეხი მოიდგეს და შეეცადენ გააფართოვონ სარბიელი თავისი ეროვნული მოქმედებისა. ნიადაგი სომეხ თათართა შეტაკებისა იმალება აქ, ვერ ასცდა ასეთს მიმართულებას საქართველოც და აქაური სომხობაც რომლებსაც დღითი დღე ემატებიან ოსმალეთ-სპარსეთიდან გამოსულები. დღეს უკვე ვიცით, და დიდი არმენიის იდეის ბაირაღს აქაც აფრიალებენ. უკვე დაფარული აღარ არის, უკვე გამოაშკარავებულია სომხეთა იდეოლოგების სულის კვეთება საქართველოშიც.

ეს სულის კვეთება უკვე დასტრიალებს ტრაპიზონიდგან მოკიდებული სოხუმამდე ქართველთაგან დასახლებულს მიწა წყალს. უკვე თავისად აღიარებს საქართველოს დედა ბუდეს, როდესაც კულტურულ დედა ბოძს ახალციხესა (და სამცხე საათაბაგოს) და ახალქალაქის მაზრებს ეპოტინება ბორჩალოსა მაზრასა და ზაქათალის ოლქს. თავისად აღიარებს საქართველოს კულტურულ პოლიტიკურ ცენტრს ქ. თბილისს და ქ. ახალციხეს. უკვე დღეს აშკარად თავისად აღიარებენ „ორიზონი“ და „მშაკი“ და გულდასმით გვირჩევენ მათზე ოცნებობასაც-კი თავი დავანებოთ (იხ. არლოს წერილები ორიზონში) სისტემატიურად ცდილობენ ყოველი ნაჭერი ჩვენის მამულისა გადავიდეს მათს ხელში და სცდილობენ უკანასკნელი სომეხი უზრუნველ ჰყონ საქართველოს ფარგლებში. განურჩევლად ეროვნებათა; სცდილობენ ყველა გრიგორიანებს აღიარებინონ თავი სომხებად და ირწმუნებიან, რომ სომხეთა გარედ არ არიან გრიგორიანები, ირწმუნებიან მათი გაზეთები, რომ არც მაჰმადიან ქართველებს, არც ქართველ ქათოლიკეთ და არც გრიგორიან ქართველებს არ აქვთ შეგნება თავისი ქართველობისა, და ისინი არიან ან თათრები ან სომხები. ზღუდავენ ქართულ ენის ფარგლებს და აყენებენ მას თვით თბილისში სომხურზე დაბლა. არ ინდობენ თვით ჩვენ კულტურულ ნაშთებსაც, მან ილიას ქვათა ღაღადი გამოიწვია. ადგენენ პროექტებს გუბერნიების გადამიჯვნისას, რათა გააერთიანონ სომხებით დასახლებული ადგილები და შეჰქმნან ძლიერი ტერიტორიული ერთეული კავკასიაში საერთოდ და ჩვენს მიწა წყალზეც კერძოდ.

ადგენენ პროექტებს მართვა-გამგებლობისას ისე, რომ ეს იყოს ხელსაყრელი მხოლოდ სომხებისათვის და ყოველი ღონისძიებით სცდილობენ გაიყვანონ თავისი. რომ ყოველივე ის, რაც მოგახსენეთ, დამყარებულია საბუთებზე და არაა თვისით მოფიქრებული, მიუთითებ დღევანდელს ცხოვრებაზე, რომელიც უმჯობესი საბუთია ყველაზე. მერე მიუთითებ ცნობილ ნაწარმოებ ველიჩკოს „უდავზე“ ილიას „ქვათა ღაღადზე“. დაშნაკცაკანების პარტიის პროგრამაზე, რისთვისაც ეს პარტია რუსეთის სასამართლოს სკამზე იჯდა ერთს დროს, მაგრამ ბოლოს ვორონცოვ-დაშკოვის მეოხებით შველა მიეცა. ეს სჩანს „მშაკისა“ და „ორიზონის“ წერილებში, გადმობეჭდილია „სახალხო ფურცელსა“ და „ზაკავკაზსკაია რეჩში“, „კავკასკოე სლოვოსა“ და „თბილისის ლისტოკის“ ფურცლებში. ეს გამოსჩანს, გ. ევანგულოვის „ადგილობრივი რეფორმა კავკასიაში“, გამოცემა 1914 წლისა ქ. პეტროგრადს. ბატონ ჩალუხშიანის ნაწარმოებში; იშხანიანის წიგნში, რაფის რომანებში (ხენთი) და სხვა და სხვა. თბილისის ქალაქის გამგეობის საქმის ნაწარმოებში და მოქმედებაში, ქალაქის თავის სიტყვები, ჟურულის ისტორია, გოთუას ისტორია, მათი საქმეების წარმოება, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, პოლიტეხნიკუმის ისტორია და რომელი ერთი შეიძლება ჩამოსთვალოს კაცმა. ეს სჩანს ყოველი თვითეული შეგნებული სომხის მოქმედებაში, საქართველოში, რომლებიც ძლიერ იშვიათს შემთხვევაში არ აიყვანს ქართველებს ან თათრებს, არც შავ მუშად, არც მეეზოვეთ, არც კანტორებში, არც სავაჭროებში, არც ფაბრიკა-ქარხნებში, არც სახლებში, არც შეძენილ ადგილებში, სადაც უმთავრესად და უპირველესად (თუ არ აუცილებლად) სომხებს მიიყვანს.

(შემდეგი იქნება)

✦ **სურსათი.** 18 და 19 ამა თვეს თბილისში შემოვიდა რკინის გზით: ფქვილი 53 ვაგ., ღვინო 3 ვაგ., მარილი 2 ვაგ., ხილი 2 ვაგ., ბზე 3 ვაგ., ქვის ნახშირი 2 ვაგ., შეშა 30 ვაგ., მაზუთი 7 ვაგონი.

საჯევახო.

✦ საჯევახოს ბიბლიოთეკას ბ-ნმა ვიქტორ ელისბარის ძე ბოლქვაძემ მთელის წლით გამოუწერა გაზეთი „საქართველო“.

სოფლად.

სოფ. ატენიდგან გვატყობინებენ: აქაურ მცხოვრებს დ. ბრიანსკის (ზემნის ხერხის ქარხნის ზედამხედველი) ღვინის მარანში შეპარულან ვიღაც უცნობნი ბოროტმოქმედნი, ქვევრების სარქველები მოუხდიათ და შიგ მიწა ჩაუყრიათ. გაფუჭებულია 300 ვედრომდე ღვინო. ეჭვით შეუპყრიათ სამი კაცი.

გორი.

— ამ ცოტა ხანში ვაჭრობას დაიწყობს „გორის კოოპერატიულ მომხმარებელ საზოგადოების“ სავაჭრო სახლი, „გორის კოოპერატივი“, რომლისთვისაც შესაფერი ბინა უკვე დაქირავებულია, საპაიო ფული სწრაფად გროვდება.

— ახლად დაარსებულმა ქართულმა დრამატიულმა სექციამ რეპეტიციების მართვა დაიწყო.

მცირე განმარტება

გუშინ ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა ბ. ბაქრაძის დაგვიანებული პასუხი დ. ნ. ქადაგიძის წერილის გამო.

ყველას გვახსოვს ბ-ნ ქადაგიძის კერძოთ და საზოგადოთ ყველაფერი ის რაც იბეჭდებოდა აღზრდა-განათლების შესახებ 1914 წელს.

ვისაც აინტერესებს ეროვნული საქმე, ვისაც სწამს და წარმოდგენილი აქვს თუ რას ნიშნავს ჩვენთვის, ჩვენი პოლიტიკურ-ეროვნული და სოციალური ცხოვრებისთვის სწავლა-აღზრდის საკითხის სალი გადაწყვეტა, სასურველი მოგვარება სკოლის საკითხისა, დაგვეთანხმება, რომ ვეცადოთ საქმე მოვაშოროთ წვრილმან ხასიათის მოვლენებს და ისეთი პრინციპიალი სახე მივცეთ, როგორც ეს ბ-მა ქადაგიძემ მისცა.

სანდროშვილი.

„სომხეთის დრამა და დაშნაკცუტიუნის მოლაპარაკება ახალგაზრდა ოსმალეთთან“

II

წინა წერილში გავუზიარეთ მკითხველს გაზ. „ჰორიზონის“, კავკასიელ სომხების ხელმძღვანელების და ავანტიურისტების გეგმა მოქმედებისა და ახლა დაწვრილებით გვინდა ავალაპარაკოთ მეორე მხარე, თვით ბ-ნ პროფესორ მინასიანცის პირით, რომ მკითხველმა **იცნოს** ის ადგილები, რომელნიც თითქმის სიტყვა სიტყვით განმეორებაა იმ მოსაზრებათა და გაფრთხილებისა, რომელსაც ჩვენ ვსწერდით ჯერ კიდევ „კლდეში“ და „სომხიჭამიას“ სახელი დავიმსახურეთ, როგორც სომხებში, ისე შინაურ სოციალისტებში. მოისმინეთ ის მწვავე სიტყვები გულდაწყვეტილი და იმედგაცრუებული ადამიანისა და თქვენ ნათლად დაინახავთ მთელ იმ სამარცხვინო კომპანიას, რომელიც ბოლო დღეებში დასრულდა და მილოვების tutti quanti-ს ციხეში ჩასმით. წავიკითხოთ მინასიანცის წერილი, თვალი გადავავლოთ ომის წინა ხანებში და ომის დროის მოქმედებას სომხებისას და თქვენ ნახავთ ყველა რგოლებს მთელი იმ ჯაჭვისას, რომელსაც ერთი წვერი აქვს სომხების ჟლეტაში და მეორე—მილოვ-ადელხანოვ და სხვათა ბრწყინვალე ვიტრინებში.

„კერძო პირების თაოსნობით სწერს პროფეს. მინასიანცი საქმეს ხელსა ჰკიდებს ორგანო, რომელიც თავისი ქეიფით ისაკუთრებს სახელს „ნაციონალური ბიურო“-სას... იმართება თათბირი მოხალისე რაზმებზედ, ვინიცობაა ოსმალეთთან ომი მოხდესო, ვრცელდება ცრუ ხმები სომხეთის დაპირებულ ავტონომიაზედ, ამოქმედდა მთელი ძალები იმ პარტიისა, რომელიც თვითნებობით მართავს დიპლომატიურ მოლაპარაკებას კონსტანტინეპოლში სომხეთის საკითხზედ და დაუსჯელი რჩება*).

რამდენიმე კაცი თბილისში სწყვეტავს მოხალისეთა რაზმების მოწყობას. ამ გარდაწყვეტილებაში იმალება მთელი ისტორია გულხვიადობისა (самомнѣнія) **ბოროტი ინტრიგებისა და დისგარმონიისა.** ჩაუფიქრდით ერთ წამს და თავს ვერ შეიკავებთ განრისხებისაგან იმ ერთი მუჭა ხალხის წინააღმდეგ, რომელთაც არა მარტო სომხის კათოლიკოსის ნებადაურთველად, არამედ მის უცოდინრად და სომხურ დელეგაციის წინამძღოლის წინააღმდეგ (პოლოს-ნუმარ-ფაშისა), **არ იკითხეს აზრი ამსაკითხზე ოსმალეთის სომხებისა** და მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც მათ ბედზე საშინელ გავლენას იქონიებს. ეს ხალხი, რომელიც თამაშობდა ოსმალეთის სომხების ბედით, გაფრთხილების მიუხედავად, არ სთანხმდებოდა მოეწვია თათბირზედ კონსტანტინეპოლის ნაციონალური საკრებულოს თავმჯდომარის ამხანაგი და ეროვნულ დელეგაციის წარმომადგენელი ევროპაში, რომელთაც უნდა წარმოედგინათ სერიოზული საბუთები სიფრთხილისა; **არ უნდოდათ ყურად ეღოთ ოფიციალი რჩევა ვანისა და სხვა ავტორიტეტი დაშნაკცაკანებისა,** რომ მოხალისეთა რაზმების მოწყობა მომაკვდინებელია და ხელი უნდა აეღოთ ამაზედ.—მაგრამ მუდარას და გაფრთხილებას თვით რევოლიუციონურ ელემენტებისა ოსმალეთში, არ შეეძლო ჰკვაზედ მოეყვანა რამდენიმე ახირებული მოღვაწე, რომელიც თბილისში ბრძანდებოდა . . . .

თავის დროზე ჩვენ გამოვარკვევთ შინაგან მიზეზებს ოსმალეთის სომხების მსხვერპლად მოტანისას და ვიტყვით, თუ ვინ არის პასუხის მგებელი იმათი ბედისა. ზემოხსენებულის მიხედვით, მე ვხედავ და ვამბობ, რომ საქმე გვაქვს **ერთ მუჭა, თითზე ჩამოსათვლელ ხალხთან,** რომელთაც გაბედეს თვითნებობით შეექმნათ უაღრესად სახიფათო ავანტიურა, **უსინიდისოდ უყურადღებოდ დასტოვეს ნებისყოფა იმ ერისა, რომელსაც უნდა ეზიდნა შედეგი მათი მოქმედებისა*).**

აი ასე მოსთქვამს ბ-ნი მინასიანცი თავიანთ ერის ავანტიურისტებზედ და „კავკ. სლოვოც“ თავისი მხრით უმატებს: „ეს მძიმე ბრალდებანი ჯერ უარყოფილი ვერ არის „ჰორიზონისა“ და ნაციონალურ ბიუროსაგან“. და როგორც საბუთი ამ ბრალდების სამართლიანობისა, „კავკ. სლოვოს“ მოჰყავს სიტყვები ჯევდეთ-ფაშისა, ნათქვამი ვანის სომხებისათვის:—**რუსის ტყვია ჩვენ ფეხებში გვხდება, სომხისა კი—შიგ გულშიო.**

ასე სწერს „კავკ. სლოვო“, მისი თანაგრძნობა ცხადათ იხრება მინასიანცის აზრისაკენ, და თან კი დასძენს: ჩვენ გვაკვირვებს სომხური პრესის ერთი ნაწილის („მშაკი“ და „ოციტი“ს) საქციელი ჯერ ხელს უწყობდნენ მოხალისეობას და ეხლა ყველაფერს დაშნაკციუტიუნს აბრალებენო.

უნდა ვსთქვათ, რომ „კავკ. სლოვო“ პირველი წამქეზებელი იყო სომხურ მოხალისეებისა, რადგან იგი ამ მოვლენას პოლიტიკურ საფუძველს უჩენდა და მკაფიოდ აღიარებდა იმ აზრს, რომ სომხები თავისი ძალებით დასცემენ ოსმალეთს და მიუხედავად ჟლეტისა და სტატისტიკის სისასტიკისა—ავტონომიას მიიღებენ. ჩვენი ობიექტიური გაფრთხილება,—რომ ზოგიერთ ხელისუფალთა კარგ განწყობილებაზე არ შეიძლება ერმა დაამყაროს თვისი იმედები,—რაღა თქმა უნდა ანგარიშში არ იყო მიღებული და პირიქით დაგმობილიც იყო, მაგრამ მხედველობაში არ მიიღეს სიმპტომატიური გამოსვლა მილიუკოვისაც, რომელმაც „პროგრესიული“ რუსეთის პირით იგივე სთქვა, რასაც ამბობდა ოფიციალი რუსეთი. სომხური პრესა აუჯანყდა მილიუკოვის აზრს, მაგრამ ანგარიში კი არ გაუწია, რადგან იგი ან პოლიტიკურ ალღოს იყო მოკლებული, ან „კავკ. სლოვოსთანა“ პასუხისგებას მოკლებულ ორგანოებს აჰყვა.

განა „კავკ. სლოვო“ პირველი მაქებარი არ იყო იმ „ნაციონალური ბიუროსი“ რომელსაც დღეს პროფ. მინასიანცის პირით „ავანტიურისტს“ უწოდებს? განა „კავკ. სლოვო“ არ აქვეყნებდა და ზეიმით არ აღნიშნავდა ყოველს სიტყვას და ნაბიჯს „ნაციონალური ბიუროსას?“ იმ ნაციონალური ბიუროსი, რომლის ხელმძღვანელნი თბილად ისხდნენ თბილისში, ყოყლოჩინაობდნენ და ოსმალეთის სომხების ხელით ნარს ჰგლეჯავდნენ. ომის წინ ეს ბიურო, თუ მისი სულის ჩამდგმელნი **აჩქარებდნენ** ომს და რაც ომი დაიწყო—მთელ ქვეყნიერობას მოსდეს ამბავი, სომხები აუჯანყდნენ ოსმალეთს, მის დამხობას ლამობენ და კიდევაც დაამხობენო. ომის განმავლობაშიაც რამდენიმე ობიექტიური გამაფრთხილებელი ამბავი მოხდა, მაგრამ „ნაციონალური ბიურო“ თავის იერიშებს განაგრძობდა, ვიდრე საშინელი უბედურება უბედურებას არ მოჰყვა, ვიდრე არ ამოსწყდნენ ვანელი სომხები, სასუნელები, ვიდრე არ გასწყდა სპარსეთის და ოსმალეთის სომხობა, ვიდრე არ მომწიფდა საშინელი გეგმა მთელი სომხეთის გადასახლებისა არაბეთის უდაბნოებში. რამდენიმე მეტიჩარა სომხის ერისა, ცეცხლის გენიას პირში უდებდა საუკეთესო ახალგაზრდობას, გასწირა ოსმალეთის სომხები, გასწირა მრავალი კავკასიელიც—სულ იმ ლამაზი დაპირებისათვის, რომელსაც საფუძველი არა ჰქონდა და ვერც ექნებოდა იმ ობიექტიურ პირობებში, რომელიც შეიქმნა ჩვენს საზღვრებზედ. მაგრამ რა ეხარჯებოდათ ავანტიურისტებს? პირიქით, ისინი ხელს ითბობდნენ ამ დანთხეულ სისხლის სითბოზედ: ხელისუფალნი მათ ელოლიავებოდნენ, აუარებელი ფული დატრიალდა მათ ხელში სხვა და სხვა სახით, ერთგვარი პოლიტიკური „თითქმის“ უფლებაც კი გადავიდა მათ ხელში, რადგან მიენიჭათ ზოგიერთი გამგებლობა და სხ. და სხ.

მაგრამ ყველაზედ დამახასიათებელი მოვლენა ამ ბიუროს ფუქსავატობისა ჩვენ ვიხილეთ შარშან ზამთარში, როდესაც ზოგიერთას ენაჭარტალობამ შეჰქმნა შიშის ზარი და თბილისი შეირყა. ყველაზედ უწინ, თავზარდაცემული გაიქცა „ნაციონალური“ ბიუროს თავმჯდომარე—სამსონ არუთინოვი და ძლივს მოაბრუნეს გზიდან. მას მიჰყვნენ და მიჰყვებოდნენ დოლუხანოვები, ალიხანოვები და თვით ხატისოვიც კი „უთმობდა“ თავის თანამდებობას—სხვასა. ეს ის ხალხი იყო, რომელიც თამამად სწირავდა ოსმალეთის სომხეთს სამშობლოს თავისუფლებას, რადგან იქაური სომხების ჟლეტა პირდაპირ არ ეხებოდა მათ საკუთარ გვამსა, მაგრამ როცა იფიქრეს—ახლა კი ჩვენც მოგვიახლოვდენონო— გაქცევას-ღა მიჰმართეს: სიკვდილსა სახელოვანსა, რომელსაც ურჩევდნენ ოსმალეთის მოძმეებს, ამჯობინეს ნაძრახი სიცოცხლე თავისი და კავკასიელ სომხებსაც სტოვებდნენ მტრის შესაჭმელადა. აი რა უნდა დაიხსომოს ბ-ნმა მინასიანცმა და სომხის ერმაც.

რასაკვირველია, შეიძლება სომხებმა, სთქვან, ჩვენს ავანტიურისტებსაც ჩვენ მოუვლით და ჩვენს რაინდებსაცაო და ქართველები ტყუილად ერევიან ჩვენს საქმეში, როდესაც ისეც გამწარებულნი ვართო, მაგრამ ის რაც ავიწყდებათ სომხის მოწინავეებს—პასუხისმგებლობა **ერის** წინაშე—არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ, ქართველებმა, ვინაიდან სომხების ავანტიურა მრავალ გზით **შეგვეხება** ჩვენც და მრავალჯერ კინაღამ დაგვიხვია თავისი უაზროდ ტრიალა ღერძზედ. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

---

*) აი თურმე სადა ყოფილან „ხაჩაგოგები“, რომელიც ომის დასაწყისში ქართველებში გამონახეს.

*) ხაზი ყველგან ჩვენია. რ. გ.

გუშინდელს წერილის უკანასკნელ სტრიქონებში დაბეჭდილია „საშვილიშვილო **საგოდებელი**“, უნდა იყოს საშვილიშვილო **საგალობელი.**

ჩვენი მწერლობის აღნუსხვა

მოისმინეთ ვისიც გინებოთ მოხსენება და ყოველთვის ერთსა და იმავე შენიშნავთ: ავტორი ისე სინჯავს საგანს, თითქო იმის უწინ არაფერი ყოფილიყოს დაბეჭდილი და ისტორიას საგნის შესწავლისას ის იწყობდეს.

მაგრამ როგორ გავამტყუნოთ: კიდეც რომ მოინდომოს უკვე თქმულის განხილვა, მთელს ჩვენ მწერლობას ვერ გადასინჯავს, და კითხვა-კითხვით იქნება ვერც კი მიაგნოს რასმე. ამიტომ იძულებულია ზურგი შეაქციოს უკვე განხილულს და შესწავლილს და ისე სინჯოს საგანი, როგორც სრულიად ახალი.

სულ სხვა იქნებოდა, რომ აღნუსხული გვქონდეს მთელი ჩვენი მწერლობა, აღნუსხული დარგებად, ავტორებად, ორიგინალ და ნათარგმნ ნაწარმოებად. მაშინ მკლევარი ველარ გაბედავდა წარსულის ასე აბუჩად აგდებას, თავის ძიებას უკვე თქმულის განხილვაზედ დაამყარებდა და იმ ნიადაგზედ ააგებდა თავის პირობას, რომელზედაც უნდა იყოს დაფუძნებული ყოველი მეცნიერული ნაწარმოები.

ამ ნუსხის შედგენას და გამოცემას ხარჯი დასჭირდება და ეს ხარჯი უნდა იკისრონ წერა-კითხვის გამავრცელებელმა, ისტორიულმა და ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ შეერთებული ძალით.

და რაკი სიტყვამ მოიტანა, საქმის ტეხნიკურ მხარესაც შევეხები: საჭირო ყოველი სახელი ნაწარმოებისა ცალკე ბარათზედ იქნას დაწერილი, ბრისტოლის კარდონზედ, რომ შემდეგში შეიძლებოდეს ამ ბარათების სურვილისამებრ დალაგება და გადალაგება.

ნუსხას ყოველწლივ უნდა ემატებოდეს წლის განმავლობაში დაბეჭდილ თხზულებათა სია და საქმის გასაადვილებლად კარგი იქნებოდა ჩვენს გაზეთებსაც შემოეღოთ ის წესი, რომელიც უკვე არსებობს ევროპიული და რუსულ დიდრონ გაზეთებში: პირველ გვერდზედ სია არის მოყვანილი იმ საგულისხმო წერილებისა, რომელიც ნომერში არის დაბეჭდილი.[1])

ი. მჭავარიანი.

---

[1]) ჩვენ გაგებული გვაქვს, რომ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში პეტროგრადის ქართველ სტუდენტების ერთი ნაწილი პატივცემულ პროფესორ ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით და ხელმძღვანელობით ამ სახის მუშაობას ეწევა. კატალოგი დამთავრებულია და იბეჭდება კიდევაც, კატალოგი დაწყობილია დარგებად, ავტორებად და ქრონოლოგიურად.

რედ.

ქართველ კათოლიკეთა რიცხვი და ვაჭრობის აღორძინება ქუთაისს

ამ ბოლო დროს ქართულ გაზეთებმა გვამცნეს, რომ ქუთაისში გარდაცვლილა პეტრე—პავლე კოკოჩაშვილი და პავლე გოკიელი. ორივ ქართველი კათოლიკენი, მოხუცნი და მასთანვე ქუთაისის ძველი ვაჭრები, ამათ ცხოვრებასთან დაკავშირებულია ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა ვაჭრების აღორძინების საქმე და ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ ამათ შესახებ:

ქუთაისში ქართველ კათოლიკე ვაჭართა რიცხვი აღორძინდა XVIII საუკუნემდე, სოლომონ დიდის დროს, მაშინ ქუთაისში კათოლიკე ვაჭართა რიცხვი ცოტა იყო, სულ რამდენიმე კომლი. სოლომონ დიდის დროს, ქუთაისის ქალაქმა გაშენება იწყო, 1760 წ. ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, ანუ სემინარია, ასევე გახსნილ იქმნა კათოლიკეთაგან პატარა სასწავლებელი. ამას გარდა ერთიც სხვა საერო სასწავლებელი გახსნეს. სოლომონ მეფის ბრძანებით და საფასით, ამავ დროს ქუთაისში გახსნილ იქმნა ქართული სტამბაც.

ვაჭრობის მხრითაც ქუთაისმა განახლება იწყო. გამრავლება როგორც ვაჭრების რიცხვით, ისევე მცხოვრებთა რიცხვითაც. ესეთი წარმატება ქუთაისისა ცნობილ იქმნა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ვაჭრების წინაშეც. გაიგეს ისიც, რომ სოლომონ მეფე ვაჭრების აღორძინებას, პატივს ხცემს და ვაჭრებსაც მფარველობსო.

ამ ამბების შეტყობის შემდეგ, ახალციხელ ვაჭრებმა იწყეს ქუთაისში გადასახლება და აღებმიცემობა, რომელთაც სოლომონ მეფე მართლაც დახმარებას უჩენდა, მფარველობას უწევდა, ზოგს აზნაურობაც კი მიუბოძა, როგორც მაგალითებრ დათიაშვილს, ბაინდურაშვილს*) და სხვათაც. ამ ცნობებს მე ვკრებ ახალციხელის, ქართველ კათოლიკის ნურუდაანთ მღვდლის „მისიონარელის“ დღიურიდამ, რომელი ცნობებიც ახალციხესვე იყო დაცული, ქართველ კათოლიკეთ ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამკითხველოში.

1750—წლიდამ 1800 წლამდე ახალციხიდამ ქუთაისში გადმოსულან შემდეგ გვარის ქართველი კათოლიკე ვაჭრები:

ზონზდაფონო, კოსტონაშვილები, ივანე ისარლოვი,**) ჯიმშეროვები, აზდოვეროვები, თუმანიშვილები, ამ გვარის წევრნი ქუთაისში სხვანიც იყვნენ —თავადიშვილები, ნემსაძე, ენდრონიკაშვილები, ბაინდურაშვილები, აკოფაშვილები, თერგიევები, ქურთიშვილები, ყახჩაფიშვილები, მურვანოვები, ფირალოვები, სოღოროვი, ფეიქაროვი, ხოჯივანოვი, იესიქოვი, მურადაშვილები, ბესარკოვი, გვარაშვილი, ნალბანდოვი, ოქრომჭედლოვი, მატინაშვილი, პაპაშვილი, დათიაშვილი,***) მერე მეფის ნაზირი ერთი ამ გვარის წევრი, ალიხანოვი, პურადაშვილი, ქერქსიბაროვი, ოხერზოლაშვილები, საბაშვილები, ბაქრაძენი, ტიტინუაშვილები, ხითაროვი, ჩარექაშვილები, გელაზაროვები, ხოჯივანოვები, ხესინაშვილი, ჩილინგაროვები, გოზალოვები, ყოყოჩაშვილი, ოცხელი, გოკიელი და სხვანი. აქ ყველას ვერ მოვსთვლით.

ამათ რიცხვში მოყოლებული არიან ისეთ გვარის წევრნიც, რომელნიც ძველად არიან ქუთაისში მისულნი და დასახლებულნი დღევანდელ ქუთაისის ვაჭრებთ შორის თითქმის ყველა გვარის, რომელნიც ჩვენ მოვიხსენეთ, შთამომავალნი სცხოვრებენ და ქუთაისში აღებ-მიცემით ხელოვნობენ, ამათგან გახლავან ახლად გარდაცვლილი პავლე გოკიელი და პეტრე-პავლე ყოყოჩაშვილი.

პეტრე-პავლე ივანეს ძე ყოყოჩაშვილი დაიბადა 1832 წ. ქუთაისს, ამ პირმა პირველ დაწყებით სწავლა ქუთაისის ქართულ კათოლიკეთა სკოლაში მიიღო. მერე იყო ევროპაშიც, სადაც განვითარდა ევროპიულად და სპეციალად შეისწავლა სააფთიაქო საქმეები. გონებითი და ინტელექტუალურად დაწინაურებულნი დიდს დახმარებას უწევდენ კათოლიკის პატრებს, განვითარების შემდეგ იგი დასახლდა ქუთაისში 1860 წელ, ქუთაისში გახსნა კარგი აფთიაქი, ამასვე მოჰყვა მისგანვე კარგი სააფთიაქო მაღაზიის გახსნა, ამ აფთიაქის და მაღაზიის საშუალებით მოეფინა მთელს იმერეთს საფთიაქო სწავლა-ცოდნის მიმდევრობა.

პეტრე-პავლე მარტოდ ერთის საქმის ასპარეზი არ გადარჩა, იგი სხვა და სხვა სავაჭრო საქმესაც ავლებდა ხელს და სხვათა შორის, ქუთაისში, მანვე გახსნა სულოვან წყლის კარგი ქარხანა, სადაც ვითარდებოდა და სწავლობდა ჩვენში კარგად ცნობილი მამულისშვილი მიტროფანე ლაღიძე. პეტრე-პავლეს თავის მეცადინეობით დიდი ამაგი და შრომა მიუძღვის ერის წინაშე ვაჭრობის აღორძინებაზედ. ამ პირმა საზოგადო საქმეთა პატივისცემათა გარდა თავის შვილებიც კარგად გაზარდა, ამ ბოლოს დროს, შვილებმა უკეთად განაშვენეს როგორც აფთიექი „წამალ.საწ“. ისევე ამის მაღაზია. ამავე პირის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი აქვს ქუთაისში ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობის აღორძინების წარმატებასაც, ამათი გვარი ძველად იწოდებოდა ყოყოჩაშვილი და არა კოკოჩოვი.

(დასასრული იქნება)

ზ. ჭ.

---

*) ბაინდურაშვილი—დღეს ბაინდუროვი, სომეხ კათოლიკურად გადაკეთებული. ამათ წინაპართ სოლომონ მეფის დროს, ქუთაისში ვაჭრობით ისე დაიმსახურეს, რომ ერთ დროს, უფროს ვაჭარს ბაინდურაშვილს, სოლომონ იმერთ მეფემ აზნაურიშვილობაც უბოძა და მერე იგი დესპანათაც გაგზავნა რუსეთში.

**) ივანე ისარლოვი—განათლებული ვაჭარი თავის დროს, იყო დიდათ პატივცემული მეფე სოლომონისაგან მეუღლე ამათი მკურნალობდა სოლომონ მეფის მეუღლეს. ეს გვარიც დაჯილდოვებულ იქმნა აზნაურობის ხარისხის პატივისცემით. ამ გვარის წევრთა შთამომავალნი არიან აწინდელი კათოლიკე ისარლიშვილები.

***) დათიაშვილებმა ვაჭრობით დიდათ განითქვეს სახელი.

თანამედროვე ომი და პროფ. გრედესკული

III

წინა წერილებში ვეცადეთ მკითხველისათვის სრულიად ობიექტივურად გაგვეცნო პროფესორ გრედესკულის აზრები ომის შესახებ, რომელნიც ორიგინალობის მხრივ, როგორც დავინახავდით, ტრაფერეტობას არ გასცილებია. მთავარი შეცდომა, პროფესორისა გახლავთ წინასწარი განზრახულებით მომზადება. მიტომაც ვერ წარმომიდგენია, თუ ნამდვილად პროფესორი გრედესკული იზიარებს ლექტორ გრედესკულის აზრებს. დღევანდელ კატასტროფის ასეთი პროფესორული ახსნა-განმარტება ნიშნავს ომის ფილოსოფიის არ ცოდნას, საკითხის ასე გადაჭრით ისეთს შთაბეჭდილებას იღებს ადამიანი, თითქოს ომი მხოლოდ გუშინ დაწყებულიყოს და პირველად გერმანელებს შემოეღოთ. სისულელეა ამისი თქმა! რად ხდება ომი, რაა ძირითადი პრინციპი მისი ფილოსოფიისა, ეს უკვე დარვინის შემდეგ ანბანურ ჭეშმარიტებად უნდა ყოფილიყო აღიარებული. ბრძოლა—ომი საუკუნეთა თანამგზავრია თვით იმ პერიოდიდან, როდესაც შესაძლებელია მოლთაც არც კი დაეწყოთ ჩუჩუნი. მაშასადამე, აქ საკამათო არა ყოფილარა. ომი იყო, არის და იქნება კიდეც, ვიდრე არსებობს სიცოცხლე, ვიდრე მისადმი ლტოლვილების ინსტიქტი არ გაქრობილა. სულ სხვაა სამხედრო მეცნიერება, სამხედრო ხელოვნება, რომელიც მუშავდება და ემყარება წარსულსაუკუნეთა ომის ქურაში გამოწრთობილ გამოცდილებაზე. ისეთს რთულს და ფრიად [illegible] საკითხში, როგორიცაა [illegible] სახელმწიფოს დაცვა, ეროვნული გამიჯვნა, დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რა თქმა უნდა, ფართო ველს გვიშლის, რომ კრიტიკულმა აზროვნებამ შთამომავლობისთვის მოახდინოს ძველ ღირებულებათა გარდაფასება. მშვიდობიანობის დროს და მით უმეტეს კაბინეთში პროფესორული ჯდომა და უწყინარი გონებრივი მანევრები, თუ გნებავთ, სამხედრო თამაში ოცნების ასპარეზზე, არასოდეს სწორე პასუხს არ მისცემს ადამიანს. მიტომაც მოხდა, რომ გრედესკულის ლექციას რატომღაც მეტად მუქი ლურჯი ელფერი დასცემოდა, თითქოს ლექტორს მთვარის შუქზე უსაზრნია და ისე გამოუმზეურებია თვისი დასკვნანიო.

დღეს გერმანეთს ყველა უსაყვედურებს მილიტარისტულ კულტურის გამო. გრედესკულიც ამ ბრალდებას ლექციის პირველ მუხლად აღიარებს. ამას არც თვითონ გერმანელები უარჰყოფენ. პირიქით, ამაყობენ კიდეც, თუ მართლა ეს ასეაო. მაგრამ ბრალდება იგი ხომ ყველა სახელმწიფოს საბრალმდებლო სკამზე დასვამს! რომელი სახელმწიფო უარს ჰყოფდა მილიტარიზმის მავნებლობას? განა ის, რაც ამ მხრივ ეხარჯებოდა თვითეულს მათგანს, საკმარისი არ იქნებოდა თვით ისეთ უდაბნოთა დასამუშავებელ-გასანოყიერებლად, როგორიც საქარა გახლავთ. სახელმწიფოებრივი მეტოქეობა, ბატონობის სურვილი, ეს მეფის გვირგვინის ის თილისმური თვისებაა, რასაც თვით სახელოვან კეისარს და დიდ ნაპოლეონს თითები დაადნო და დააწებებინა თავზე დადგმის დროს! და რომ ეს ასეა, ამის დასამტკიცებლად შორს არ წავალთ, თვით პროფესორის ლექციის იმ ადგილზე მივუთითებთ, სადაც ნათქვამია, რომ საზღვაო დედოფლობის შიშით ინგლისმა გერმანეთს აუკრძალა სამხედრო გემებს ნუ აგებო! არც საფრანგეთი იყო გულხელდაკრეფილი. დარდანელის ოპერაციების დროს პირველად კილიბარხის სიმაგრეს ფრანგთა ესკადრამ დაუშინა და სრუტეში პირველი მსხვერპლიც მათი ჯავშნოსნები გახდნენ. არა, მილიტარიზმის უარმყოფელი de fracto არც ერთი სახელმწიფო არ ყოფილა, ყველა გამალებულ მზადებაში იყო და მას სცდილობდა, რომ მეტოქეთათვის თავში ჩასაცხები ჩაქუჩი სჭეროდა ხელში.

მაგრამ მილიტარისტული მზადება არ გახლავთ საქმე. თვით გრედესკულის სიტყვებიდანაც კარგად დავინახეთ, რომ გერმანეთს მართლა მთელს ამ უკანასკნელ პერიოდში გიოტე-კანტის ბრინჯაოს ქანდაკი მოლტკე-ბისმარკის სტატუად არ გადაუდენია. არა, გრედესკულმა თვით ბრძანა და ჩვენც ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ამ ათეულ წლებში, როდესაც გერმანეთი აძლიერებდა სამხედრო ორგანიზაციას, საოცარი ინტენსივობით ავითარებდა თავის მრეწველობას, ერთი სიტყვით, მშვიდობიან ცხოვრების ორგანიზაციას. რამდენი კორპუსი მხედარიც არ უნდა გამოიყვანოს ბრძოლის ველზე, გერმანეთმა, ხსენებულ ათეულ წლებში არა ნაკლები კორპუსები გამოიყვანა ინჟინრებისა და ქიმიკოსებისა, კომივოიაჟორებისა და პროფესორებისა, აგრონომებისა და ვაჭრებისა და სხვა და სხვა. ის გერმანული „ძალდატანება“, რის შესახებაც სამი საათი ილაპარაკა ბატონმა გრედესკულმა და რის წინააღმდეგაც ასე რიგად ილაშქრებენ არა თუ რუსეთში, არამედ საფრანგეთში, თვით ინგლისშიაც კი, გახლამთ მშვიდობიანი დროის უწყინარი მეთოდიური შრომით დაპყრობის ნაყოფი. ის, რაც კი რომ საჭირო იყო თანამედროვე კულტურის დარგთა წარმოებისთვის, ყველა გერმანელთა ხელში გადავიდა. რუსეთი სათქმელად არც კი ღირს, მაზე, თვით პროფესორმაც სთქვა, გერმანეთი დაბალ წარმოდგენისა იყო, მისი მეტოქეობისა არასოდეს ჰშინებია, მაშასადამე, მისთვის რომ გაესწრო გერმანეთს, ეს ბევრს ვერაფერს შეჰმატებდა. საქმე ის არის, რომ ამ მხრივ გაუსწრო თვით საფრანგეთს და ინგლისსაც კი. გერმანეთმა საქმე იქნობამდინ მიიყვანა, რომ ამათ კოლონიებში თუ მეტროპოლიაში ინგლისელები, ფრანგები მისგან ყიდულობდნენ საქონელს და შემდეგ ისე ასაღებდნენ ბაზარზე. ნახევარ საუკუნეზე მეტია ამ ბრძოლას ეწევა გერმანეთი, ნახევარ საუკუნეზე მეტია საშუალო საუკუნოების ცხოვრებიდან ამოტიტვლებული გერმანეთი მშვიდობიანი დაპყრობით ამტკიცებს ბატონობის ტახტს! მისი ზღაპრული ზრდა, საოცარის ტემპით აჩქარება განდიდებისკენ სრულიად ბუნებრივ მღელვარებას

იწვევდა მეზობელ სახელმწიფოებში, თუმცა ამ მღელვარებას პირს უკრავდნენ და სცდილობდნენ თვითონაც რაიმე მოევვარებინათ, რომ ნორჩ სახელმწიფოსთვის ფრთები არ გაეშლევინებინათ. მაგრამ ამ მხრივ გერმანეთი გამარჯვებული გამოვიდა, მის საქონელს ვხედავთ მსოფლიო ბაზარზე, ყოველგან მათი წიგნები, მათი გემები, სავაჭრო ხომალდები, მათი სახმარი ნივთები ლაბარატორიებში, მათი ფაქტორიები, მათი მეცნიერნი, ხელოსნები, თვით სამხედრო მეცნიერება და სხვა. ორმოცი წელია ომისთვის ემზადებიანო, გვესმის ირგვლივ აუარებელ საგაზეთო წერილებიდან თუ ტრიბუნიდან და ამას იმეორებს ბ-ნი გრედესკულიც. მაგრამ მარტო იმისი რწმუნება, ვითომც მხოლოდ ისინი იყვნენ ამ მზადებაში, მხოლოდ მათ დაიწყეს ძალოვნების კულტის აღიარება, მხოლოდ ამის ზრუნვაში იყვნენ და სხვას მეორე ხარისხოვან ყურადღებას აქცევდნენო, ეს იმას ნიშნას, რომ ვერაფერს მივხვედრილვართ მათ შრომას, გარჯილობას, ეს ნიშნავს გულუბრყვილო მსმენელი შეცდომაში შევიყვანოთ. მართალია, გერმანელებმა ცხადი აგრესივობა გამოიჩინეს ომის გარშემო, მაგრამ ამაზე ძლიერს აგრესივობას ვხედავთ ამ ორმოც წლების განმავლობაში ბაზრების დასაპყრობად, როდესაც მსოფლიო მოჰფინა სხვა და სხვა ლაბორატორიების, არხების, რკინის გზების, სავაჭრო ფლოტის, ოპტიკური შუშისა და ათას სხვა რამის ქარხანა-ფაბრიკებით. მსოფლიოს არა მარტო დრედნოუტებითა და 42 სანტიმეტრიან ზარბაზნებით იპყრობენ, არამედ უნივერსიტეტებით და პოლიტეხნიკუმებით, საიდანაც გამოდიან თვით დრედნოუტების ამგებელნი. რაღა დავმალოთ, მთელი საუკუნეა კავკასია ელოდა უმაღლეს სასწავლებლის გახსნას და ერთი ცოდვილი პოლიტეხნიკუმის გახსნის ნებართვას ძლივს ეღირსა, მაშინ როდესაც უნივერსიტეტებით ისედაც სავსე გერმანეთმა ომის წინა დღეებში და თვით ზარბაზანთა გრგვინვის დროს ზედმეტად ახალი უნივერსიტეტის გახსნა მოისურვა ფრანკფურტში, დრეზდენში და ჰამბურგში. ვიმეორებთ, ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც უნივერსიტეტებით დაქსელილია ქალაქები და სულ ორიოდ საათის სავალი გზაა. ყოველგან ინტენსივობა, ყოველგან საოცარი ბეჯითობა, მეთოდი, სულიერ განვითარებასთან ერთად ფიზიკურად ჰარმონიული განვითარება, სპორტი, საგიმნასტიკო დაწესებულებანი და საზოგადოებანი, თავისთავად ჰგულისხმობდა, რომ ახალგაზრდა სახელმწიფო ჯანსაღი და ძალოვანი გამოვიდოდა. არა 19 ივლისში წარუდგინა გერმანეთმა მსოფლიოს თავის მკაცრი ულტიმატუმი, არამედ აგერ 40 წელია რაც წამოყენებულია იგი, 40 წელია გერმანეთი Sturm und Drang-ით მიდიოდა მსოფლიო ბატონობის ჩასაგდებად, მაგრამ ბრძოლის ველზე მას ყოველთვის ჩაქუჩით ვხედავთ, ვიდრე ამოწვდილ მახვილითა. მისი ჩაქუჩი და მახვილი ერთს გრდემლზეა გამოჭედილი და ორთავეს მარჯვედ ხმარობს გამოცდილი ხელი თვითეული გერმანელისა.

რის თქმა გვინდა ყველა ამით? სწორედ იმისი, რაც უნდა ახდილად ემხილებინა ბ-ნ გრედესკულს, როგორც ცივს და მშვიდობიანს მკვლევარს, სახელდობრ იმისი, რომ მოკავშირენი გერმანეთს სწორედ იმავე იარაღით უნდა შებრძოლებოდენ, რითაც მან გამოილაშქრა. ნახევარ საუკუნის განმავლობაში სპექტატორის როლის შესრულებამ აი ამ შავბნელ კატასტროფამდე მიიყვანა მთელი ევროპა და გერმანეთს საშუალება მიეცა მეტი ძალღონის მოსაკრეფად, ძალოვნების განსამტკიცებლად.

(დასასრული იქნება)

დ. კასრაძე.

წერილი სამეგრელოდან

ბოროტმოქმედება სოფლად და მთავრობის ზომები.

როგორც ვიცით, ბოროტმოქმედება სოფლად ამ ბოლო დროს ისე გავრცელდა, ისე ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა, რომ მისი აღნუსხვაც შეუძლებელი ხდება.

მთავრობა ბევრად თავს არ იტკივებს ამაზე, მაგრამ მაინც იძულებული ხდება სინიდისის გასაწმენდად რაიმე ღონე იღონონ ასეთი გარემოების წინააღმდეგ. ხოლო მას როგორც ყოველთვის, ახლაც საზოგადოების ძალთა დახმარება საზოგადოებისავე საქმეში მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია და ხმარობს ისევ ძველს ბიუროკრატიულ ნაცად ზომებს.

მაგ. ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაციას ხსენებულ ბოროტების მოსასპობად განუზრახავს დაარსება ეგრედ წოდებულ „მფრინავი რაზმებისა“ (Летучая команда), რომელთა შესანახად ყოველმა საზოგადოებამ უნდა გაიღოს წლიურად 800 მან. ეს ზომა ჩვენში არა-ერთხელ ნაცადია და მის ნაყოფსაც საზოგადოება კარგად იცნობს:— მიუხედავათ თავ-მოსაწონ სახელწოდებისა, ეს რაზმელები არც ისე მარდად „დაფრინავენ“, რომ ავაზაკები მოსპონ და ბოროტ-მოქმედებას ბოლო მოუღონ,—პირ-იქით მათ არა ერთხელ თვითონაც ბევრი სისაძაგლე ჩაუდენიათ. 800 მანეთით-კი საზოგადოებას ბევრი საკულტურო საქმის გაკეთება შეუძლიან. მაგრამ ჩვენში კულტურა და კულტურული ზომები რა საჭიროა? საზოგადოებანი იძულებული გახადა მთავრობამ უეჭველად დაედგინათ განაჩენები „მფრინავი რაზმელების“ შენახვა და იმედია მალე გვეყოლება ასეთები ზედ-მეტ ტვირთად ამ გაჭირვებულ დროს.

კაი.

ხმა ზუგდიდიდან

14 იანვარს აქ ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი კამერგერი პოტულოვი.—აქედან გუბერნატორი გაემგზავრა მდინარე ენგურამდე, სადაც უნდა დაეთვალიერებინა შავი ზღვის რკინის გზის ლიანდაგი რომელიც ახლა კეთდება.—ბ-ნ პოტულოვს ახლდნენ ადგილობრივ მაზრის უფროსი გამრეკლიძე და ზუგდიდის ნაწილის ბოქაული ანთელავა. ეტლი, რომელზედაც გუბერნატორი იჯდა, შიგ ქალაქის სადგურზედვე ისე ღრმად ჩაიფლო ტალახში, რომ საბრალო ცხენებმა, მიუხედავად დაუზოგავის გამათრახებისა, ვერაფრის გზით ვერ ამოზიდეს. გადმოსვლაც შეუძლებელი იყო... ბოლოს ბოქაულმა ანთელავამ ზურგზე წამოიკიდა ბ-ნი გუბერნატორი და ისე გადაიყვანა. არა ნაკლები გაჭირვებით მიაღწია ბ-მა პოტულოვმა თავისს სურვილს, როცა მან განიზრახა ადგილობრივ მიუვალი ეკლესიის დათვალიერება.

დიდად საწყენია ერთის მხრით ასეთი საპატიო სტუმრის შეწუხება, მაგრამ, მეორის მხრით ისიც კარგია, რომ მას, როგორც გუბერნიის მმართველობის უმაღლეს წარმომადგენელს, ამ მწარე გამოცდილების შემდეგ, შეუძლიან იქონიოს წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი გზებია ამ დალოცვილ მაზრის სოფლებში.

კ--ი.

მღვდლების გაკრეჭვა

სინოდის მახლობელ სხდომაზე განიხილავენ ახალ მოსაზრებას მღვდლის გაკრეჭვის თაობაზე. ახალი პროექტით, თავისი სურვილით სასულიერო წოდებიდან გადამდგარ მღვდელს არავითარი უფლებები არ შეეზღუდება არც პოლიტიკური, არც სამოქალაქო, როგორც დღევანდლამდე იყო. ხოლო ვისაც სასულიერო თუ სამოქალაქო სასამართლო აჰყრის მღვდლის ხარისხს, მას აეკრძალება ყოველგვარი მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივს არჩევნებში. მათ ნება არ ექნებათ იცხოვრონ იმ ეპარქიაში, სადაც მსახურებდნენ და აგრედვე სატახტო ქალაქებში.

თავისი სურვილით მღვდლობიდან გადამდგართ აეკრძალებათ მხოლოდ იმ ეპარქიაში ცხოვრება, სადაც მსახურებდნენ.

ეკლესიის გარშემო

წერილი იმერეთიდან.

მთელს იმერეთის ეპარქიაში ათი საკრებულო სახლი თუ მოიძებნება. ამის გამო მრევლიც წვალებაშია და მღვდელიც. სოფლად გასაქირავებელი სახლები ცოტაა. ყოვლად სამღვდელო გიორგიმ ეს მდგომარეობა გაითვალისწინა და მღვდელ-დიაკვანთა განწესების დროს, სწავლა-განათლების გარდა, სამღვდელო კანდიდატის ოჯახურსა და ბინადრობის მდგომარეობასაც საპატიო ადგილი დაუთმო. ამნაირმა ზომებმა იმერეთის ბევრს სოფლებს თავისი ღვიძლი შვილები მიანიჭა მღვდელ-დიაკვნად. მრევლიდან მრევლში მღვდლების გადასვლა-გადმოსვლას და იმ სულით-ხორცამდე დამღუპველ საჩივრებს, მღვდელსა და მის მრევლს შორის, იმდენად აღარა აქვს ადგილი.

მ. ბუაჩიძე.

რამდენი ჯარი ჰყავს გერმანეთს?

გერმანეთის მუშათა ფროფესიულ კავშირებიდან სოფლის მცხოვრებთაგან და ქალაქში მყოფ მოხელეთაგან საერთო რიცხვი ჯარში გაწვეულებისა 1915 წ. პირველ იანვრამდე იყო 40 პროცენტი. გაწვეულ იყვნენ 18 წლიდან დაწყებული 60 წლამდე.

1910 წელს თვრამეტისა და 60 წლისანი ჯარში გასაწვევად ითვლებოდა 19 მილიონ ნახევარი. ომის გაწვევისას შესდგა 20 მილიონი. აქედან ორმოცი პროცენტი ე. ი. 8 მილიონი ჯარში გაიყვანეს. რაც შეეხება შემდეგ წლებს უფრო გაიზარდა და საერთო რიცხვი ჯარში გაწვეულებისა ათი მილიონი იყო. ეს ათი მილიონი შეადგენს მთლად გასაწვევ ჯარის კაცების ორ მესამედს. აქ იგულისხმება 18 და 45 წლისანი. ამ უკანასკნელ დროს ხელახლად შეამოწმეს დარჩენილი 18 და 45 წლისანი და საერთო რიცხვი ლაშქრისა შესდგა 11 მილიონი, რომელიც შეადგენს სამს მეოთხედს მთლად გასაწვევ ჯარისას.

სამ მილიონამდე დაჰკარგა გერმანეთმა, ზოგი დაიჭრა, ზოგი ტყვედ იქმნა წაყვანილი და ზოგიც დაიხოცა. დარჩა გერმანეთს 8 მილიონი მებრძოლი. (ბირ. ვედ.)

მთაშავეთის მეფის გვარეულობა

მთაშავეთის მეფე ნიკოლოზის გვარი ნეგოშია. დედოფალს ჰქვიან მილენა. ჰყავთ სამი ვაჟი: დანილო, მირკო და პეტრე. ოთხი ქალიშვილი: ქსენია, მეუღლე დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა ქსენია, მეუღლე დიდის მთავრის პეტრე ნიკოლოზის ძისა მილიცა და ელენე დედოფალი იტალიისა.

ტახტის მემკვიდრეს დანილოს მეუღლედ ჰყავს მშვენიერებით განთქმული იუტა მეკლენბურგ-სტრელიცკაია, რომელსაც დიდი მზითევი მიჰყვა. მემკვიდრე დანილო არ არის უნიჭო კაცი, მაგრამ მისი ხასიათი აუტანელია. არ უყვარს რუსეთი, თუმცა რუსეთისაგან მას ბევრი დახმარება მიუღია. რუსეთ-იაპონიის ომის დროს იაპონიას უსურვა გამარჯვება და დალია მისი სადღეგრძელო, რასაც შემდეგ უარს ჰყოფდა. დანილო მომხრეა ავსტრია-უნგრეთისა. დიდს პატივს სცემენ ვენაში. ამბობენ თვით ომიანობის დროსაც დანილო ავსტრიას ცხადად ემხრობოდაო.

მეორე შვილი მირკო უფრო ხალხში ცნობილია. მაგრამ არც ის გადარჩა ერთს დაღს. ბალკანეთის ომის დროს მას ჩააბარეს სანიტარ-საქმეთა მოწყობა. ამ დროს მას თან ახლდა სათნოების და მშვენიერი ფრანგის ქალი.

მესამე შვილი პეტრე განსხვავდება სხვა შვილებიდან. იგი მშვენიერი და მოხერხებული ვაჟკაცია. იგი უცოლშვილოა და ერთ დროს უყვარდა ელენე.

მთაშავეთის სასახლეს დიდი ნათესაობა აქვს სერბეთის სასახლესთან. ნიკოლოზის უფროსი ქალი ზორკა მეუღლედ ჰყავდა მეფე პეტრეს. ახლო ნათესაობის მიუხედავად მთაშავეთის მეფე ხაფანხს უგებდა თავის სიძეს. ჯერ კიდევ ახსოვთ ის ამბავი, რომ მეფე ნიკოლოზმა მოაწყო შეთქმულება და ვითომც მისი მოკვლა ჰსურდათ, რათა ცილი და ბრალი დაედო მეფე პეტრესთვის.

პროვინციის ქრონიკა

სოფ. საგარეჯო (გარე კახეთი).

3 იანვარს მოხდა სოფლის ყრილობა მომრიგებელ შუამავლისა და ბოქაულის თანადასწრებით. ყრილობას უნდა ამოერჩია რწმუნებულები ახალი კანონის ძალით. კრებამაც ამოირჩია 50 კაცი, რომელთაც დაევალათ სოფლის საქმის წარმოება.

ზუგდიდი.

განიზრახეს გახსნან სამეურნეო საზოგადოება.

ს. ორბელი (ლეჩხ. მაზრა).

წელს ძალიან ნაკლებ მოვიდა აქ ყველაფერი, მდგომარეობა უნუგეშოა, სიმინდი ფუთი ღირს ორი მანეთი. მთელი ზამთარი წვიმს, ძალიან ცუდი ამინდები დაიჭირა, ხალხი შეწუხდა. უმწეო ოჯახებს დახმარება ესაჭიროება.

სოფ. ჯუნჯუათი.

კვირას, 3 იანვარს, ჯუნჯუათის სამკითხველოს შენობაში გაიმართა სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება შემოსავალ-გასავლის საანგარიშოთ. გამოირკვა, რომ შემოსავალი უდრის 162 მან. 40 კ. ხარჯი 162 მან. 40 კ. კრებამ აირჩია ახალი გამგეობა და დაავალა მოიზიდოს სამკითხველოს წევრები.

ბეჟათუბნის საზ. (შორაპ. მაზრა).

აქ არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება, არც საკრედიტო ამხანაგობა, არც კოოპერატიული სავაჭროები. ამ ბოლო ხანებში ვაჭრების გაუმაძღრობამ აქაურებიც დააფიქრა. შეუდგნენ საქმიანობას.

ს. ხორეთი (გურია).

აქ არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. საზოგადოება თანაგრძნობით ეპყრობა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

	№	ს. წ.
ბათომისკენ სამგ. მ.	9	8.53 საღ.
„ საფ. „	3	9.58 დილ.
ხაშურისკენ სამგ. „	19-20	3.20 ნაშ.
ბაქოსკენ ჩქარი „	4	10.20 საღ.
„ ჩქარი „	6	12.8 დღის
„ სამგ. „	8	11.13 ღამ.
ყარს-ერევნ. საფ. „	4-3	11.13 ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან საფ. მ.	4	9.30 საღ.
„ სამგ. „	10	9.51 დილ.
ბაქოდან საფ. „	3	9.3 დილ.
„ ჩქარი „	5	7.41 საღ.
„ სამგ. „	7	1.42 ნაშ.
ხაშურიდან სამგ. „	19-20	7.25 დილ.
ყარს-ერევნ. საფ. „	4-3	8.8 დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23 „	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43 „	„
ვაზიანიდან	10 „	42 „	„
იორიდან	11 „	35 „	„
საგარეჯოდან	12 „	17 „	„
ბადიაურიდან	1 „	15	დღის
მელაანიდან	2 „	37 „	„
გურჯაანიდან	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან	4 „	58 „	„
თელავში მიდის	5 „	35 „	„
გურჯაანიდან	4 „	18 „	„
კარდენახიდან	4 „	50 „	„
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15 „	„

თელავიდან

თელავიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	45 „	„
გურჯაანიდან	10 „	46 „	„
მელაანიდან	12 „	02 „	„
ბადიაურიდან	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან	2 „	15 „	„
იორიდან	2 „	53 „	„
ვაზიანიდან	3 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	31 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46 „	„
თბილისში მიდის	5 „	01 „	„
წნორის-წყლიდან	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	46 „	„
გურჯაანში მოდის	10 „	16 „	„

სომეხთა ცხოვრება

15 იანვარს სომეხთა კაცთმოყვარე საზოგადოების შენობაში სომეხმა სტუდენტებმა გამართეს საღამო გამოქცეულთა სასარგებლოდ. საღამოს მთელი შემოსავალი 1200 მან. აღემატება.

— სომხების გამოჩენილი მწერალი აჰარონიანი მძიმე ავადაა.

მაჰმადიანთა ცხოვრება

ბათომიდან გვატყობინებენ, რომ გენერალ-გუბერნატორმა ექიმ სულთანოვს ნება მისცა დაათვალიეროს ხოპის მხარეს ომისაგან დაზარალებული მაჰმადიანები და აღმოუჩინოს დახმარება. ექიმიც საჩქაროდ გაემგზავრა, რომ ინახულოს რა მდგომარეობაში იმყოფებიან.

— [illegible] იანვარს, ბაქოს მაჰმადიანთა განმანათლებელ საზოგადოების „სოფა“ წევრთა კრება ტ. ნაგიევის თავმჯდომარეობით. გადასწყვიტეს გამართონ საღამო ამ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად.

მუშათა შორის

ოზურგეთის სახელოსნო სავაჭრო და რესტორანის მოსამსახურე-მუშების მდგომარეობა აუტანელია. ჯამაგირების მომატების მაგიერ ხელფასს უკლებენ და წინანდელ უფლებებსაც უზღუდავენ.

რუსეთი

პეტროგრადში შეიპყრეს გამოჩენილი ქურდი ქალი ა. გოლოდაევი რომელიც მონოზნის ტანისამოსით დათარეშობდა.

ჩინელების გაძევება.

პეტროგრადის ქალაქის თავმა შეუთვალა პოლიციელთ ქალაქიდან საჩქაროთ გააძევეთ ჩინელებიო.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ჯან-გატეხილ და დასუსტებულ ავადმყოფებს

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმჟავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეზი), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსუნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დაგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების საძირკველი სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოგვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნოებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნავმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით დ როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ჰხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექიმთან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიჰმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელიღაა მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდს დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდს ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და მსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭვდით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულს ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **საერთაშორისო სამკურნალო-საფარმაცევტო დეპო.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსუნატის, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.

2. გაარჯლებულ სუსუნატის მორჩენა—12 მ. 50 კ.

3. ნერვების აშლილობასა, სქესობრივ უილაჯობასა, ჯანის დაკარგვისა, სისუსტისა, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩაჩანაკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.

4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.

5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასისა, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.

6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ღვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.

7. ბევრი, სუსუნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდზე მიდგომის დროს ქავილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.

8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობისა (კატარი), ჭლექისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავავრცელოთ, რადგანაც გვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბეოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пущкинская № 3. отд. с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ—Фармацевтикъ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა.კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.